მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

იანვარი
შვატი
№1 (437)
(5778)
2018

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

2გვ. რა ხდება ებრაულ სამყაროში.

3გვ. ხანუქის დღესასწაული თბილისში

ბიზნესმენი მელორ ტყეშელაშვილი ქართულ-ებრაულ ურთიერთობას უფრთხილდება;

4-5გვ. მწერალსა და დრამატურგს საიუბილეო თარიღს ულოცავენ ქართველი და ებრაელი მოღვაწენი: შალომ დავიდი, მოშე დანიელი, რევაზ გაჩეჩილაძე, რამინ იაკობაშვილი, თემურ ყვითელაშვილი, მიხეილ ჩლენოვი...

6გვ. ჯილდო ღირსეულ ქალბატონს,

ლია კრიხელი წარმატებულ ქართველ ებრაელზე გვიამბობს,

მოშე დანიელი - რაბინი ხვოლესი

ბინამინ ნეთანიაჰუს წინადადება

ბინიამინ ნეთანიაჰუმ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების გაჭიანურებული პროცესის მოსაგვარებლად წამოაყენა ასეთი წინადადება: ისრაელი თავისი ბიუჯეტიდან გამოჰყოფს 50 მილიონ დოლარს. ყოველ სახელმწიფოს, რომელიც გამოთქვამს სურვილს თავისი საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანოს, მიიღებს თითო მილიონ დოლარს. ვარაუდობენ, რომ ასეთ ხარჯს ისრაელი 2019 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებს. ამგვარი წინადადება გათვალისწინებულია აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთათვის მილიონი დოლარი ერთობ მნიშვნელოვანი თანხაა.

პროგრამაში ,,ორმოცდაათი ორმოცდაათზე" ხაზგასმულია, რომ არ არის აუცილებული საელჩოს იერუსალიმში გადამტანმა სახელმწიფოებმა ერთი მილიონი დოლარი ფულადი სახით მიიღოს: შესაძლოა, ეს იყოს სასოფლო სამეურნეო ტექნოლოგიები, დახმარება სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

საყურადღებოა, რომ თავთავიანთი საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანის საკითხს უკვე განიხილავენ ჩილეს, არგენტინის,რუმინეთის, უნგრეთის, ჰონდურასის, პანამის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ტოგოსა და სხვა სახელმწიფოთა პარლამენტები და მთავრობები.

რომან აბრამოვიჩის $ 6 მილიონი

,,ინსაიდერი" იუწყება, რომ მილიარდერმა რომან აბრამოვიჩმა თავისი კომპანიიდან ორმა Investments კიბოთი დაავადების საწინააღმდეგო წამლის გამოგონებისათვის ექვსი მილიონი დალარი გადაურიცხა კომპანია Onco Tartis Inc-ს რომელიც ამუშავებს მწვავე ლეიკოზის საწინააღმდეგო პრეპარატს. საცდელმა პრეპარატმა OT-82 უკვე გაიარა ტესტირება ცხოველებზე და საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა. წამლის კლინიკური გამოცდა დაგეგმილია 2018 წლისათვის. აბრამოვიჩის მიერ შეწირული თანხა სწორედ კვლევის დამამთავრებელი ეტაპისთვისაა საჭირო.

უნგრეთმა ევროკავშირი დაბლოკა

როგორც ცნობილია, ჩეხეთმა მხარი დაუჭირა აშშ პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინიციატივას ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის ცნობისა და აშშ საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანის თაობაზე. ხოლო ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ უნგრეთმა არ გაიზიარა ამ კავშირის პოზიცია ტრამპის ინიციატივის დაგმობის თაობაზე. ამიტომ ევროკავშირი იძულებული გახდა საგარეო საკითხთა გამგებლის — ფრედერიკა მოგერინის განცხადებით შემოფარგლულიყო.

ფილიპინების პრეზიდენტის გადაწყვეტილება

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ფილიპინების პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ გამოხატა კეთილი ნება ისრაელის დედაქალაქად სცნოს იერუსალიმი და თავისი ქვეყნის საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანოს.

თუ ტრამპის გადაწყვეტილება არ მოგწონთ...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეიის სესიაზე იერუსალიმის სტატუსთან დონალდ ტრამპის გადაწყვეტილების განხილვის წინ, აშშ პრეზიდენტმა განაცხადა:

„ისინი ასობით მილიონ დოლარს იღებენ ჩვენგან და მილიარდებსაც. შემდეგ კი ჩვენს წინააღმდეგ აძლევენ ხმას. ჩვენ დავაკვირდებით იმ ხმებს. დაე, მისცენ ჩვენს წინააღმდეგ ხმა. ბევრ თანხას დავზოგავთ".

გაერო-ში აშშ-ს წარმომადგენელმა ნიკი ჰეილიმ კი მომავალი სხდომის მონაწილეებსა და ხმის მიმცემთ აუწყა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ყურადღებით დააკვირდება გაერო-ს გენერალური ასამბლეიის საგანგებო სესიას, რომელზეც იერუსალიმის საკითხი განიხილება.

"როდესაც ამერიკელი ხალხის ნებით გადაწყვეტილებას ვიღებთ იმის თაობაზე, თუ სად განვათავსოთ ჩვენი საელჩო, არ ველოდებით იმას, რომ ვისაც ვეხმარებით, მათი სამიზნე გავხდებით. ხუთშაბათს კენჭისყრა გაიმართება, სადაც იგეგმება ჩვენი არჩევანის გაკრიტიკება. აშშ ჩაინიშნავს მათ სახელებს".

იერუსალიმის სტატუსთან დაკავშირებით კენჭისყრა გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე თურქეთისა და იემენის მიერ იყო ინიცირებული.

მსგავსად ნორვეგიისა, დანიამ...

იუწყებოდნენ რომ დანია უარს ამბობს დააფინანსოს პალესტინის არასამთავრობო ორგანიზაციები. დანიის ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც ისრაელის მიერ გადაცემული დოკუმენტების მეოხებით გაარკვია: დანიელთა მიერ გადაცემული ფინანსები იმ ტეროტისტული ჯგუფებისა და ორგანიზაციების ხელში ხვდებოდა, რომლებიც ისრაელს ბოიკოტს უცხადებენ.

დანიის კვალდაკვალ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ნორვეგიის ხელისუფლებამაც. ოსლოს სამთავრობო განცხადებაში ნათქვამია, რომ ისრაელის ბოიკოტირება ხელს უწყობს დაპირისპირებას, მაშინ როცა ნორვეგიის ხელისუფლება ესწრაფვის დიალოგსა და თანამშრომლობას. სწორედ ეს დაამთავრებსო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს.

,,როგორი სანთით ანთებენ?"



თბილისი რომ ფესტივალების ქალაქი გახდა, საყოველთაოდაა ცნობილი, მუსიკის ფესტივალები კი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს.

შარშან, დეკემბერში მუსიკის ფესტივალზე, რომელიც ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა ჩაატარა, ისრაელიდან მოწვეული გახლდათ ცნობილი კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი, თუმცა, იშვიათად გამოერევა წელიწადი, როცა ამათუიმ მუსიკალურ ფესტივალზე იოსებ ბარდანაშვილი არ მონაწილეობდეს. იგი საქართველოში გამართული მუსიკალური ფესტივალების ლამის მასპინძლად ქცეული სტუმარია. წელს კი ფესტივალში მისი მონაწილეობა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო გახლდათ- ამ კომპოზიტორის მესამე სიმფონია საქართველოში პირველად და ისიც მოცარტის აღიარებულ ,,რექვიემთან" ერთად სრულდებოდა.

მესამე სიმფონია- ,,როგორი სანთით ანთებენ" ზუბინ მეტას ხელმძღვანელობით არსებული ისრაელის ფილარმონიული ორკესტრის დაკვეთით შეიქმნა და შესრულდა ამ ორკესტრის 70-ე წლის იუბილეზე.

14 და 15 დეკემბერს თბილისის რუსთაველის სახ. თეატრის მცირე დარბაშზში კონცერტის დაწყების წინ საქართველოს სიმფონიური ორკესტრის ხელმშღვანელი ნიკა რაჭველი მიესალმა ისრაელიდან ამ შესრულებისათვის ჩამოსულ იოსებ ბარდანაშვილს, რომელიც თავის მხრივ შემოქმედებითად გაესაუბრა ქართველ მსმენელს და თქვა:

-ეს მოხდა პატარა, კოხტა, ზღვისპირა ქალაქ ბათუმში. ყოველ ზაფხულს ზღვისპირა პარკში ბათუმის გარნიზონის სასულე ორკესტრი მართავდა გასვლით კონცერტებს. მათი, ხშირად არცთუ ისე აწყობილი ორკესტრის მჭახე ხმა, მე განუსაზღვრელ ბედნიერებას მანიჭებდა და იმავდროულად ჩემში განსაკუთრებული სიმარტოვის გრძნობას იწვევდა. საკუთარ თავს ვეკითხები, თუ რაში იყო დამალული ის ძალა, რომელიც ასე ჰარმონიულად აერთიანებდა ამდენ განსხვავებულ ადამიანს-განსხვავებულს თავისი ხასიათით, რელიგიური მრწამსით და კულტურით- ერთი ხმით, ერთი უსასრულო ვიბრაციით.

,,როგორი სანთით ანთებენ?" ეს გახლავთ წმინდა შაბათის შემოსვლის წინა ლოცვის პირველი სიტყვები,რომელსაც ებრაული ტრადიციით ორმაგი დატვირთვა გააჩნია,როგორც პრაქტიკული, თუ სანთლით უნდა შევხვდეთ და ავამაღლოთ შაბათის მობრძანება, ასევე სულიერი--ლოცვა, რომლის მეშვეობითაც წასულ სულებს მოიხსენიებენ.

მე დღეს ამ არაჩვეულებრივი ორკესტრის მუსიკოსებთან ერთად ვანთებ სანთელს".

ცხადია, სცენაზე სანთელი არავის აუნთია, მაგრამ ნიჭიერების მადლი გახლდათ ის სანთელი, რომელიც წასულთა სულებსაც კი ეხმიანება. კომპოზიტორის მიერ შექმნილი ერთობ თანამედროვე ჟღერადობის მუსიკა. ეხმიანებოდა სულებს ამ შეხმიანებაში ერთობ გამოკვეთილი გახლდათ დირიჟორ კახი სოლომნიშვილის მუყაითი მუშაობა ორკესტრთან, რათა სიმფონიის ყოველი ბგერა მისულიყო მსმენელამდე.

ასეც მოხდა!

სასიხარულოა, ისიც რომ გასული წლის დასასრულს იოსებ ბარდანაშვილმა მიიღო კულტურის სფეროში ისრაელის ერთობ პრესტიჟული პრემია.

,,გონივრული წინდები"

ისრაელის ინოვაციის სამმართველომ და კერძო ინვესტორებმა startap ElastMeds ერთი მილიონი დოლარი გამოუყვეს სმარტ-წინდების საწარმოებლად.

ეს წინდები განკუთვნილია ვენური და ლიმფოსტაზმით დაავადებულ ფეხებში სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად. იგი გამოიგონეს იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც აწუხებთ ლიმფოსტაზმი, ვარიკოზი და ტრომბოზი, ასევე სპორტსმენებისა და იმ ფეხმძიმე ქალებისათვის, რომლებსაც ფეხების ტკივილი აწუხებთ.

სმარტ-წინდები ბატარეიაზე მუშაობს. კომპანიის დამაარსებელი ომერ ზელკა გვიმტკიცებს: სმარტ-წინდები იმით განსხვავდება, რომ ძალიან იოლია ატარო ყოველდღიურად. ზელკამ არ დააკონკრეტა, თუ რა ეღირება ეს წინდები, თუმცა, ის კი თქვა, მისი ფასი გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე მათი კონკურენტების მიერ წარმოებული ამავე დანიშნულების პროდუქტისა.

ხანუქის დღესასწაული თბილისის დიდ სალოცავში

12 დეკემბერს საღამოს ლოცვის შემდეგ თბილისის დიდ სალოცავში გაიმართა ხანუქის დღესასწაულს მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებას ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: ისრაელის სახელმწიფოს სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური მეუღლეთურთ, საქართველოში ისრაელის საელჩოს თანამშრომლები, საქართველოში მყოფი დიპლომატიური კორპუსი, საქართველოს პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე, თბილისის მერი კახი კალაძე, ისრაელის სახელმწიფოდან რაბინთა დელეგაცია, ებრაული თაემის წარმომადგენლები და თბილისის სხვა ეროვნებების მაცხოვრებლებები. ხანუქის დღესასწაულს მიძღვნილი ღონისძიება მისალოცი სიტყვით გახსანა სალოცავის მერაბ ჩანჩალაშვილმა. მუსიკოსმა თემურ ყვითელაშვილმა გიტარაზე დაკვრით შეასრულა ისრაელის და საქართველოს სახელმწიფოების ჰიმნები. ისრაელის ელჩმა შაფთაი ცურმა თავის სტყვაში აღნიშნა:

,,როგორც ხანუქაში ხდება სასწაული, ისე მოხდა სასწაული და აღდგა სახელმწიფო, აღდგა ჩვენი დედაქალაქი. წელს არის გამორჩეული ხანუქის დღესასწაული, როგორც ცნობილია, ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აღიარა იერუსალიმი ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქად. ჯერ კიდევ 70 წლის წინ, როდესაც ისრაელის სახელმწიფო ჩამოყალიბდა, იმ დღიდან არის ჩვენი დედაქალაქი იერუსალიმი. ყოველი ებრაელი ათასობით წლის განმავლობაში დღე და ღამე გაიძახოდა „მომავალი წელი იერუშალაიმში“ და როგორც ხანუქაში ხდება სასწაული, ისე მოხდა სასწაული და აღდგა სახელმწიფო, აღდგა ჩვენი დედაქალაქი. დიდი მადლობა ამერიკის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს და მე მწამს, რომ მომავალი ექვსი თვის განმავლობაში არა მარტო ამერიკის საელჩო გადავა თელ - ავივიდან იერუსალიმში, არამედ ამას მიყვებიან სხვა სახელმწიფოები“.

ისრაელის სახელმწიფოს სრულუფლებიანი ელჩის გამოსვლა ჩაანაცვლეს ისრაელიდან ჩამოსულმა რაბინმა იაკობ გაგულაშვილმა და თბილისის დიდი სალოცავის რაბინმა რახამიმ მურდუხაშვილმა.

საქართველოს პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თავის გამოსვლაში მიესალმა დარბაზში მყოფ რაბინებს და საზოგადოებას. ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილის სიტყვა:

— ,,როდესაც მე ავანთებ ხანუქის სანთელს ჩავიფიქრებ, რომ ისრაელში იყოს მშვიდობა, ყველა ებრაულ ოჯახში იყოს მშვიდობა. რა თქმა უნდა, საქართველოშიც იყოს მშვიდობა და მთელს მსოფლიოში არავის ენახოს ატირებული ბავშვები, ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ დღეს მე მივმართავ ჩვენთვის ყველაზე ახლობელ და ყელაზე დიდი ხნის მეგობარი ერის წარმომადგენლებს. მინდა, მოგილოცოთ ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაული, რომლიც არის სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება. ჩვენთვის, ქართველებისთვისაც, ეს დღესასწაული სიმბოლურია და აქ, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, თბილისის ამ უბანში თავმოყრილია ყველა ტრადიციული რელიგიის წარმომადგენლობა. მაგრამ, საქართველოსთვის 26-საუკუნოვანი მეგობრობა ნამდვილად უნიკალურია. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ჩვენს ორ მოძმე ერს შორის უამრავი რამ არის საერთო. საერთო გვაქვს ისტორია, მათ შორის ბრძოლის ისტორიაც, როდესაც ქართველები იბრძოდნენ ებრაელთათვის და ებრაელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ ქართველთათვის. მათ შორის, ვიბრძოდით ერთმანეთის საკულტო რელიგიური ნაგებობების გადასარჩენადაც. და ეს ისტორიები ყველას ახსოვს. ეს ისტორიები ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჩვენს ორ ერს შორის მეგობრობის ძალიან ძვირფას წიგნში, რომელსაც როგორც ებრაელები, ისევე ქართველები გულში ინახავენ. მინდა, გულით მოგილოცოთ ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაული, რომელიც ჩვენ ყველას გვიხარია.“

საქართველოს პრემიერ მინისტრის სიტყვის შემდეგ რაბინმა რახამიმ მურდუხაშვილმა აანთო შამაშის სანთელი, გადასცა გიორგი კვირიკაშვილს, რომელმაც შამაშის სანთლის მეშვეობით თბილისის დიდ სალოცავში აანთო ხანუქის პირველი სანთელი. რაბინმა რახამიმ მურდუხაშვილმა შეასრულა ხანუქის ლოცვა. ისრაელიდან ჩამოსულმა რაბინებმა გიორგი კვირიკაშვილს სა-

მახსოვროდ საჩუქრად გადასცეს ხანუქია. ღონისძიება სიმღერით გააგრძელა ,,რავ ავნერის“ სკოლის დასაწყისი კლასის ვაჟთა გუნდმა. სიმღერის დასრულების შემდეგ სალოცავის დარბაზში განხორციელდა ვიდეოზარის პირდაპირი ჩართვა ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუსი.იგი მიესალმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მიულოცა ხანუქის დღესასწაული. პირდაპირი ჩართვისას, სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა:

— „მინდა მივესალმო საქართველოს დიდ მეგობარს, ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიუაჰუს და მივულოცო მას ხანუქის დღესასწაული, მინდა ვუსურვო ებრალ ხალხს მშვიდობა და რა თქმა უნდა, მინდა, ვუსურვო ქართულ- ებრაულ მეგობრობას კიდევ უფრო ნათელი მომავალი 26 საუკუნე“. ოფიციალური ნაწილის შემდეგ ხანუქის დღესასწაულის ღონისძიება გააგრძელა მსოფლიო ხუთეულში შემავალმა ვირტუოზმა, გინესის წიგნის რეკორდსმენმა, საყოველთაოდ აღიარებულმა გიტარისტმა თემურ ყვითელაშვილმა. საზოგადოება მას იცნობდა ,როგორც გიტარისტს. ღონიძძიებაზე გაიცნეს როგორც მომღერალიც.

თამარ შავოშვილი

გამოხმაურება

„არ მინდა ქართველების და ებრაელების მეგობრობას ჩრდილი მიადგეს“

მელორ ტყეშელაშვილის პასუხი „საერთაშორისო შეთქმულების“ ავტორებს

გაზეთ „ახალი თაობის“ 2017 წლის 20 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ებრაელი ბიზნესმენების მიმართვა ისრაელის და საქართველოს მთავრობებისადმი“, სადაც აღწერილია, თუ როგორ დაგეგმეს ქართველმა და ებრაელმა პარტნიორებმა საერთაშორისო შეთქმულება ვინმე ელბახარის წინააღმდეგ.

„მიმართვის“ ავტორი პირდაპირ არ აცხადებს, მაგრამ აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ „შეთქმულებაში“ საქართველოს და ისრაელის მთავრობებიც მონაწილეობდნენ.

საინტერესო და საეჭვოა ის ფაქტი, რომ „მიმართვის“ ავტორი არ გვიმხელს კომპანიის დასახელებას და არც იმაზე საუბრობს, რაში დასჭირდა ან ქართულ, ან ებრაულ მხარეს ამ კომპანიის განადგურება. არც იმაზეა საუბარი, რა ხეირი ნახეს ამ „განადგურებით“ „გამნადგურებლებმა“.

მიმართვაზე პასუხის გაცემას არც კი ვაპირებდი, მაგრამ რამდენიმე გარემოებამ გადამაწყვეტინა, პასუხი გამეცა ამ თავხედური ცილისწამებისთვის.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ყოფილი პარტნიორების დუმილით გათამამებული ელბახარი ცდილობს, ანალოგიური „მიმართვები“ მიაწოდოს ქართულ და ებრაულ ბიზნესწრეებს, ასევე ამ ორი ქვეყნის მთავრობებთან დაახლოებულ პირებს.

არ მინდა ქართველების და ებრაელების საუკუნოვან მეგობრობას, საქართველო-ისრაელის ურთიერთობებს ჩრდილი მიადგეს.

ჩვენი ხალხების მეხსიერებაში მწარე მოგონებებს აღძრავს წინა ხელისუფლების ავანტიურისტული საქციელი — ებრაელი ბიზნესმენების საქართველოში ჩამოტყუება, მექრთამეობის ბრალდებით დაპატიმრება და მათგან დიდი ოდენობით თანხების გამოძალვის მცდელობა.

ყველაზე მთავარი და საინტერესო ის მიზეზია, რისთვისაც ეს „მიმართვა“ დაიწერა. მის ავტორს კომპანიისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში შეუძენია და ახლა ამ თანხის უკან დაბრუნებას ითხოვს.

ფულის დაბრუნებას ითხოვს, მაგრამ ამ საკმაოდ მძიმე ბრალდების დამადასტურებლად არავითარი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. ვერც წარმოადგენდა, რადგანაც ბუნებაში ასეთი არც ფაქტი არსებობს და არც დოკუმენტი. ეს „მიმართვა“ გახლავთ ჩვეულებრივი ავანტიურა — თუ გაუვა, ხომ კარგი, თუ არადა, ის ხომ არაფერს კარგავს.

„მიმართვის“ ავტორის კიდევ ერთი ბრალდება ასე ჟღერს — პარტნიორებმა სა-ხელმწიფოსგან 49-წლიანი საიჯარო ხელშეკრულებით აღებული მიწის ნაკვეთი არ დაისაკუთრესო. ასეთ სულელურ ბრალდებაზე კომენტარის გაკეთებაც შეუძლებელია. სანამ ამას დაწერდა, რჩევა მაინც ეკითხა. ნებისმიერი დამწყები იურისტი აუხსნიდა, რომ სახელმწიფოსგან იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის დასაკუთრება ან გასხვისება გამორიცხულია.

ამ ყოვლად აბსურდული ბრალდებებიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: „მიმართვის“ ავტორმა იცის, რომ ისრაელის დღევანდელ ხელისუფლებაში (ისევე, როგორც სხვა წარმატებული ქვეყნების მთავრობებში) სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის ინტერესთა კონფლიქტი არსებობს. ცხადია, ავტორი ერთ-ერთი ოპოზიციური დაჯგუფების დავალებით მოქმედებს და ცდილობს, ისრაელის მთავრობას სახელი გაუტეხოს. სწორედ ამიტომ მოიხსენიებს საქართველოში ისრაელის ელჩს და მის სიძეს, მიანიშნებს საქართველო-ისრაელის მთავრობების „უკანონო ქმედებებზე“.

საბოლოოდ, აშკარა პროვოკაციამდე მიდის — ფული მომეცით, თორემ საქართველოს და ისრაელის მთავრობებს, საქართველოს და ისრაელის ბიზნესწრეებს ერთმანეთს გადავკიდებ, ორ მეგობარ ქვეყანას და ხალხს შორის დაპირისპირებას გავაჩაღებო....

კომპანია, რომელზეც „მიმართვის“ ავტორი საუბრობს, დაახლოებით 10 წლის წინ შეიქმნა. ეს გახლავთ ებრაულ-ქართული შპს „მტკვარი“ — სამშენებლო კომპანია, რომელიც ქსნის რაიონში მდებარეობს. სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანია თავიდანვე წარუმატებელი აღმოჩნდა. მისგან მოგება არც მე და არც სხვა პარტნიორებს არ მიგვიღია.

2012 წლიდან ფინანსური დარღვევების (არარენტაბელურობის, დავალიანების) გამო საწარმოოს ქონებას ყადაღა დაედო და აუქციონზე გაიყიდა. ხაზს ვუსვამ — კომპანიის ქონება დააყადაღა და აუქციონზე გაყიდა საქართველოს სახელმწიფომ. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის ყველა დამფუძნებელი დაზარალდა.

„მიმართვის“ ავტორის მტკიცებით კი, კომპანიის წარუმატებლობაში მთავარი დამნაშავე არის საქართველოში ისრაელის ელჩის სიძე დავიდ უტენი. ეს არის თავხედობა და სიცრუე. დავიდ უტენს გაკოტრებულ კომპანიასთან და, მით უმეტეს, მის მართვასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია.

ბატონმა მომჩივანმა წესით უნდა იცოდეს და მან ეს ნამდვილად იცის, რომ კომპანიის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს არა რომელიმე ქვეყნის ელჩი ან მთავრობა, არამედ პარტნიორთა კრება. სწორედ ასე ინიშნებოდნენ და თავისუფლდებოდნენ კომპანიის ხელმძღვანელები. ეს ძირითადად ებრაული მხარის ინიციატივით ხდებოდა. ბუნებრივია, არსებობს პარტნიორთა მიერ ხელმოწერით დადასტურებული შესაბამისი ოქმები.

ავტორი იმასაც ამტკიცებს, რომ მე კომპანია ვიღაც „მესამე პირისთვის“ პარტნიორებთან შეუთანხმებლად მიმიყიდია. ასეთი რამის თქმა ადამიანს, რომელიც მეტნაკლებად აზროვნებს, არ ეკადრება. ბუნებრივია, არაფერი გამიყიდია, მაგრამ რომ მომენდომებინა კიდეც, მთლიანად კომპანიის, მისი ქონების ნაწილის გაყიდვა ან დამოუ-კიდებლად ქონების შეძენა, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე, ამას ვერ გავაკეთებდი.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფინანსური დარღვევების გამო კომპანიის ქონება დააყადაღა და მისი ნაწილი აუქციონზე გაყიდა საქართველოს სახელმწიფომ.

გასული საუკუნიდან მოყოლებული, ისრაელთან და მის ბევრ მოქალაქესთან მჭიდრო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებდა და მაკავშირებს.

შემიძლია ვიამაყო, რომ მათ შორისაა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი და შემდეგ უკვე პრემიერი არიელ შარონი. საქართველოში მისი ვიზიტის დროს (მაშინ თბილისის ვიცე-მერი ვიყავი) ელჩ შაბთაი ცურთან ერთად ებრაელთა ერთ-ერთ სასაფ-ლაოზე მოვიძიეთ მისი ბებიის საფლავი.

დიდი სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ჩემი მეგობარია ელჩი შაბთაი ცური, რომელიც წარმოშობით ვანიდან არის. ის უაღრესად განათლებული ადამიანია. იმდენად მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს, რომ საქართველოში ელჩად მეორე ვადით დანიშნეს. ამ ადამიანს ძალიან დიდ პატივს სცემენ ისრაელში, საქართველოში და მის მშობლიურ ვანში მისი სახელობის ქუჩაც კი გახსნეს.

მის მიმართ გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებები არის სამარცხვინო. მე, მელორ ტყეშელაშვილი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბატონ შაბთაის კომპანიის დამფუძნებლების გაცნობაში, ადმინისტრაციულ საქმიანობასა და საკადრო პოლიტიკაში არასდროს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია.

P.S.

მინდა ვისარგებლო ამ წერილით და ყველას გავაგებინო, რომ კომპანიის საკუთრებაში მყოფი დანადგარები უპატრონოდ არის მიტოვებული. კარგი იქნება თუ ამას მიხედავენ.

მელორ ტყეშელაშვილი
გაზეთი „ახალი თაობა“
10 იანვარი, 2018 წელი

გურამ ბათიაშვილი - 80

ოთხმოცი წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ აბრამის ძე ბათიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გურამ!

ჩვენო ძვირფასო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენელს და გილოცავენ სახელოვან იუბილეს - დაბადების ოთხმოცი წლის თავს.

ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი მრავალწახნაგოვანი, უაღრესად საინტერესო მწერლური ცხოვრება. თქვენი პირველივე ნაწარმოები - პიესა „ძახილი“, 1969 წელს წარმატებით დაიდგა გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში. მას შემდეგ მართლაც, რომ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით. დიდი რწმენითა და რუდუნებით ემსახურებით ქართული მწერლობის წინსვლას, როგორც დრამატურგი, რომანისტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში, არაერთი საყურადღებო ნაწარმოები შესძინეთ სიტყვაკაზმულ ქართულ ლიტერატურას და მის ორგანულ ნაწილად იქეცით.

თანამედროვე ქართული დრამატურგია წარმოუდგენელია თქვენი ჩინებული პიესების გარეშე, ისეთებისა, როგორიცაა: „მარჯანიშვილის ოთხი დღე“, „ვალი“, „სტუმარი“ , ლალი, სიყვარული და სხვები“, „1832 წელი“, „მარად და ყველგან“, „წერილები შვილებს“, „მიწა თუ სამშობლო“, „კოტე მარჯანიშვილი“, „სიყვარული უსიყვარულოდ“. ამ პიესებში მაღალმხატვრულად აისახა, როგორც საქართველოს წარსულის, ისე დღევანდელობის არაერთი წყელვაკრულვიანი პრობლემა. არ შეიძლება, ცალკე არ გამოვყოთ „ ვალი“, რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხის თითქმის სამიათასწლოვანი ნლოვანი ჭეშმარიტი , უხინჯო, დაუმადლებელი ძმობისა და მეგობრობის საგალობელს თუ ოდას წარმოაგდენს...

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულ სცენაზე თქვენს მიერ თარგმნილი არაერთი პიესა დაიდგა, მათ შორის მიხეილ შატროვის „ექვსი ივლისი“ და „ბოლშევიკები“, აზათ აბდელინის „მეცამეტე თავმჯდომარე“ და „პატრიარქი“, ცირცი გულიას „აჩრდილები“... ნოდარ დუმბაძის პროზის მიხედვით დიდებული პიესა „ცა რომ სარკე იყო“ შეჰქმენით, სიღნაღის ახალგაზრდულ თეატრში რომ დაიდგა და მერმე ტრიუმფალურად მოიარა კანადის, მექსიკისა და სლოვაკეთის თეატრალური ფესტივალები. თქვენი პიესების კრებულები ცალკე წიგნებადაც გამოიცა („სერობის შემდეგ“, „ვალი“, „წერილები შვილებს“, „შეთქმულება“).

ქართულ რომანტიკას თქვენი სახით ერთი გამორჩეულად საყურადღებო პროზაიკოსი ჰყავს. თქვენი რომანები „ თუ დაგივიწყო იერუშალაიმ“ , „მეათე კაცი“, „ჟამი დუმილისა, ჟამი უბნობისა“, „ერთი მხოლოდ ერთი“, „ელიგულა და ხავა“ მწერლური ძალმოსილების, მწერლური სიმართლის ბრწყინვალე ნიმუშებია.

არაერთი მნიშვნელოვანი მხატვრული თარგმანით გაამდიდრეთ ქართული ლიტერატურა. ჩინებულად თარგმნეთ თურქული მწერლობის კლასიკოსების: საბაჰათან ალის, ნაზიმ ჰიქმეთის, აზიზ ნესინის, ფაჰრი ენდიჩის ნაწარმოებები, აგრეთვე, ვიქტორ როზოვის, მარ ბოიაჯიევის, ლაიოშ მეშტერხაზის, მიხეილ შატროვის, ადინ შტეინზალცის თხზულებანი. ნაზიმ ჰიქმეთს კი ფრიად საგულისხმო მონოგრაფია მიუძღვენით.

ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ვარ დარაჯი ჩემი ძმისა“, „მზე ღრუბლებში“, „შენაკადები“, “კვალი“ ყურადღებას, უპირველესად, განსწავლულობათა და ფართო თვალსაწიერით იპყრობს. სულ ახლახან გამოიცა თქვენი კრებული „ სახეები და სიტუაციები“, რომელსაც დრამატურგის ჩანაწერები უწოდეთ. ამ წიგნმა საყოველთაო დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა, როგორც სამწერლო, ისე თეატრალურ სამყაროში. რა გასაკვირია, ამ წიგნით ჩვენს წინაშე წარსდექით, როგორც ქვეყნის აწმყოსა და უფრო მეტად, მის მომავალზე პასუხისმგებელი შემოქმედი, რომელიც მართლაც შეულამაზებლად და რაც მთავარია, სიყვარულითა და სევდით მოგვითხრობს ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებზე, კაცობის, ვაჟკაცობის გაკვეთილებზე...

დიდად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ლიტერატურულ მუშაკად, ჟურნალ „თეატრალური მოამბის“ პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „ საქართველოს ებრაელების“ მთავარ რედაქტორად. ამჟამად თავკაცობთ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ და გაზეთ „მენორას“ რედაქციებს.

არჩეული იყავით და ხართ საქართველოს მწერალთა, თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად, მსოფლიოს ებრაელთა კავაშირის ვიცე-პრეზიდენტად, საერთაშორის სიონისტური ორგანიზაციის გამგეობის, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრად, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარედ, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის სტრატეგიული საბჭოს წევრად, სქართველო-ისრაელის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს მწერალთა კავშირის (2), დავით კლდიაშვილისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიებით. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, ისრაელის პრეზიდენტის ეზერ ვაიცმანის ღირსების სიგელით, მონიჭებული გაქვთ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, არჩეული ხართ ბორჯომის საპატიო მოქალაქედ.

გვახარებს, რომ ამ დღეებში თქვენი პრემიების რიცხვს დიდი პოლიპარკე კაკაბაძის პრემიაც დაემატა.

ჩვენო გურამ!

კიდევ ერთხელ, გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ერთგულ თანამებრძოლს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი

ბატონ გურამ ბათიაშვილს — მთარგმნელს, მწერალს, დრამატურგს

გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს, გისურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებას და აღმავლობას იმ დიდ მამულიშვილურ საქმიანობაში, რომელსაც თქვენ ათწლეულთა განმავლობაში ემსახურებით. დაე, თქვენს ნაყოფიერ და ხალას ნიჭს კვლავ შეექმნას რიგი საინტერესო მაღალმხატვრული ნაწარმოებებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ თქვენი ხელოვნება ამაღლებულია, თქვენს ქმნილებებს ატყვია სათუთი, ფაქიზი, უტყუარი მხატვრული ალღო. აქ ჩანს აზროვნების თავისებური სამყარო თავისი მრავალფეროვანი, თვალისმომჭრელი სილამაზით. მას ერთვის დახვეწილი, სადა ბუნებრივი ენა პირველივე სტრიქონებიდან რომ იპყრობს მკითხველის ყურადღებას,განაცდევინებს მას სიხარულსა და მღელვარებას.

ვახდენ რა თქვენი შემოქმედების ზოგად გაანალიზებას, მივდივარ დასკვნამდე, რომ მასში ღაღადებს რაციონალიზმი და განმანათლებლური სულისკვეთება. მისთვის დამახასიათებელია დაკვირვებისა და ანალიზის იშვიათი სიმახვილე, ინტელექტის წინ წამოწევა, სიცოცხლის ამამაღლებელი სიყვარული და აზრის სილაღე. მასში ჩვენ ვისმენთ მუსიკის ამოკვნესას, მწუხარების მელოდიას, სიყვარულის მშვიდ ტანჯვას,ბედის ქარიშხლისაგან რომ არს დალეწილ-დაფლეთილი.

თქვენს რომანებში, ჩანაწერებში, მოთხრობებში, პოლემიკასა თუ პიესებში მთელი რეალობით ცოცხლდება გასულ და მიმდინარე საუკუნეთა ის საჭირბოროტო საკითხები,რომლებიც დღესაც ესოდენ აქტუალურია.

განსაკუთრებული ხედვით და ემოციით შესრულებული თქვენეული ჩანაწერები უამრავ ეპიზოდს აწიაღებს მკითხველის წინაშე და მასში ამამაღლებელ, ამაღლებულ განცდებს აღძრავს.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ თქვენს ნაწარმოებებში წარმოსახულ დრამატულ სახეებს ახასიათებთ უშუალობა, ლირიზმი და მეტყველი მელოდიურობა. მათში ჩვენ ვხედავთ ამაღლებული სულიერი ძვრების, შინაგანი წვისა და ფორიაქის გამოძახილსაც.სწორედ აქედან იღებს სათავეს თქვენი შემოქმედებითი განცდის უშუალობა.

ბატონო გურამ, თქვენ შექმენით ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართულ, ასევე ქართულ-ებრაულ ლიტერტატურაში. თქვენ ქართველ მკითხველს გააცანით თანამედროვე თურქული მწერლობის არაერთი საინტერესო ნიმუში. თქვენი პიესების მიხედვით დადგმულმა სპექტაკლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, დიდია თქვენი წვლილი დღევანდელ ქართულ მწერლობაში, დიდია თქვენი დამსახურება ქართველი და ებრაელი ერების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის წარმოჩენისა და განმტკიცების საქმეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თქვენი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია უშუალობა, ხალხურობა, ეროვნული კოლორიტი. მასში წარმოდგენილი რეალური, თუ ისტორიული სახეები ყურადღებას იპყრობს განზოგადებით, გამოსახვის თავისუფლებით, განსხვავებული ესთეტიკით, თვითმყობადობით. ეს ყოველივე კი ერთობლივად ვლინდება შთაგონებული შემოქმედებითი პროცესით. აქ ისმის კითხვა: რაში ვლინდება უშუალო, შთაგონებული, შემოქმედება, რაში წიაღდება მისი არსი და რაობა?

ქმნილებებს, რომელიც ცოცხალნი და უშუალოდ ქმნილნი არიან, ეწოდებათ შთაგონებულნი, ანუ შემოქმედებითი ქმნილებანი, ხოლო მექანიკური ქმნადობიდან გამოვლენილი ადამიანის ნახელავად მოიხსენიება. ყველა ქანდაკება, ყველა სურათი ადამიანის ხელით კეთდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, არის ორგანული, ზეშთაგონებული შემოქმედებითი ქანდაკებები და სურათები და არის მექანიკური, არა შექმნილი, არამედ გაკეთებული ქანდაკებები და სურათები.

დიახ, შექმნილი, ანუ შემოქმედებითი ეწოდება ყოველივე იმას, რასაც ვერ იქმს ადამიანის საზრისი, გაანგარიშება, განსჯა და ნებისყოფა, მაგრამ რაც უშუალოდ ჩნდება არყოფნიდან ყოფიერებაში, ან წარმოადგენს ღვთაებრივი ბუნების შემოქმედ ძალას, ანუ ადამიანის შემოქმედებით ძალას, რასაც განაპირობებს ადამიანის შინაგან სამყაროში ღვთაებრივი იდეის არსებობა-მოვანება და რასაც შთაგონება ეწოდება. ეს გახლავთ არსებითი განსხვავება შემოქმედებით და მექანიკურ ნაწარმოებებს შორის.

მხოლოდ უშუალოდ მოვლენილი შეიძლება იყოს ორგანული, მხოლოდ ორგანული შეიძლება იყოს ცოცხალი. ორგანიზმი და მექანიზმი, ანუ ხელოვნება და ხელოსნობა — აი, ორი სამყარო, რომლებიც მტრულად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ერთია თავისუფალი, განუწყვეტლივ მოძრავი ცვალებადი, მოციაგე ფერებითა და საღებავებით აელვარებული, მეორე მკვდრულ უძრაობაში გაშეშებული, ყალბი ბრწყინვალებით, ხელოვნური სიცოცხლით, მუნჯი და უტყვი აი, სად არის არსებითი სხვაობა ამ ორ მტრულ დიამეტრალურად დაპირისპირებულ სამყაროთა შორის.

შემოქმედი ადამიანის შინაგან სამყაროში ზენაარული იდეის შთანერგვა შეიძლება მივუსადაგოთ მიწაში ჩავარდნილ იმ მარცვალს,რაიც მიწიდან მცენარედ აღმოცენდა, გაიკეთა ფოთლები და ფერებით მოირთო გაზაფხულის საქორწინო ნადიმისათვის....მისი მარცვალი უკვე შეიცავდა ძირსაც, ფოთლებსაც, ლამაზ ღეროსაც, საუცხოო სურნელოვან ყვავილსაც და მცენარის მთელ არქიტექტურასაც მთელი მისი ფორმებითა და პროპორციებით!

ბუნებამ რაღა ქმნა, ამ ყვავილის შექმნაში თავისი მონაწილეობა რით აღნიშნა?

საამისოდ მას არა-რა შრომა არ გაუწევია. მიწა-მარცვლის შინაგანი სამყაროს რეალობად გარდასახვის მხოლოდ სასურველ პირობად წიაღდება.

აქ ჩვენ ვჭვრეტთ იდეის თავის თავიდან, ანუ თავისი თავის შიგნიდან გამოწიაღებას,რასაც იმანენტური განვითარება ეწოდება. იმანენტური განვითარების პირობაა არარსებობა ყოველგვარი დამხმარე საშუალებებისა და ბიძგებისა. თვით იდეის სასიცოცხლო შინაარსში სუფევს იმანენტური განვითარების ორგანული ძალა, როგორც ცოცხალი თავის წიაღში მოიცავს ძალას მცენარედ განვითარებისათვის და რაც უფრო მდიდარია მარცვლის წიაღში არსებული სასიცოცხლო შინაარსი, მით უფრო ძლიერი მცენარე ვითარდება მისგან.

დასასრულს ნამდვილად არ იქნება საფუძველს მოკლებული, თუ ვიტყვით, რომ ზეშთაგონებულ ხელოვნებაზე ზემოთხსენებული ფიქრი და განსჯა სავსებით ესადაგება გურამ ბათიაშვილის შემოქმედებას, რაიც თანამედროვე ქართულ და ქართულ-ებრაულ კულტურაში ერთ-ერთ ორიგინალურ ანდარტად აღიმართება.

დაე, ბატონო გურამ, თქვენი ზეშთაგონებული შემოქმედებითი რუდუნი იყოს ამამაღლებელი ქართულენოვანი მკითხველისათვის და გამოწიაღდეს კურთხევის წყაროდ საქართველოს ებრაელთათვის, რომელნიც უბრუნდებიან ისტორიულ სამშობლოს და მისი ძველი კულტურის წიაღს.

მრავალჟამიერ თქვენს სიცოცხლეს!

შალომ დავიდი

ჩვენო ძვირფასო ბატონო გურამ,

რამდენადაც ვიცით, დღეს მრგვალი თარიღი გისრულდება!
დაუჯერებელია, რომ ეს 80 წელია!
ასეთი ენერგიული, დაუღალავი 80 წლის ადამიანი ნამდვილი იშვიათობაა!
მაგრამ სწორედ ასეთი ხარ, ჩვენო გურამ ბათიაშვილო -- ნიჭიერო, ჭკვიანო, კეთილშობილო ქართველო ებრაელო!
შენ ერთდროულად ქართველიცა ხარ და ებრაელიც და ყველაზე მეტად აკავშირებ ერთმანეთთან ამ ორ მოძმე ხალხს.
დაუფასებელია შენი ღვაწლი ქართულ ლიტერატურაში და, განსაკუთრებით, დრამატურგიაში. შენი პიესები მუდმივად არის და იქნება თეატრების რეპერტუარში და არა მარტო საქართველოში. ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება" შენ ააღორძინე და უნარჩუნებ სიცოცხლეს.
გვინდა გისურვოთ დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და შემოქმედების დაუძლეველი სურვილი!
დიდი სიყვარულით

რევაზ, მზია და ირინა გაჩეჩილაძეები

ბატონ გურამ ბათიაშვილს,
მწერალს, დრამატურგს, დამოუკიდებული ებრაული გაზეთის „მენორას'' რედაქტორს, ჟურნალ ''თეატრი და ცხოვრებას '' რედაქტორს, საზოგადო მოღვაწეს.
შალომ, ძვირფასო გურამ,
დიდი სიამოვნებით გილოცავ დაბადების სახელოვან 80 წლისთავს, გისურვებ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, როგორც ისრაელშია მიღებული 120 წლამდე. შენთან ერთად ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას შენს მეუღლეს ციალას და ოჯახის წევრებს.
გისურვებ რომ ის შენი ნაყოფიერი და სანტერესო მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელსაც ეწევი ჟურნალისტიკის, სამწერლო, დრამატურგიულ დარგში და საზოგადო მოღვაწის სახით ებრაელი და ქართველი ხალხის წარმოსაჩენად, ასეთივე წარმატებით კიდევ დიდხანს მრავალ წელს გაგეგრძელებინოს.
ქოლ ჰაქაოდ, შალომ ვებრახა, ად მეჰა ვეესრიმ!
მეგობრული ღრმა პატივისცემით

მოშე დანიელი (დანიელაშვილი)
არიელის უნივერსიტეტის პროფესორი,
ისრაელი

„ხესედ ელიაჰუს" მისალმებიდან

ბატონო გურამ, საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრის „ხესედ ელიაჰუს" თანამშრომლები და მისი დირექტორი გილოცავთ დღევანდელ დღეს და გისურვებთ სიკეთით, სიხარულითა და წარმატებებით სავსე ხანგრძლივ ცხოვრებას. თქვენ ხომ „ხესედ ელიაჰუს" დაარსებისა და ჩამოყალიბების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყავით. დღემდე ბრძანდებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ხესედის არსებობის 20 წლის განმავლობაში თქვენ ამ ორგანიზაციას მუდმივად გვერდში უდგეხართ და მის ავსა და კარგს ითავისებთ.
...
„მე ვარ ებრაელი და ვარ ქართველი მწერალი — ქართული სამყაროს შემადგენელი ნაწილი" — ეს ბატონი გურამის სიტყვებია. ამიტომ არის, რომ მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უჭირავს საქართველოს ებრაელთა 26 საუკუნოვან ყოფას. სურს მკითხველს უამბოს ებრაელთა ცხოვრებაზე საქართველოში,საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპებზე.
80 წელი საკმაოდ სოლიდური ციფრია, 80 წელი მთელი ეპოქაა, 80 წელი მხოლოდ რჩეულთა ციფრია, რომლებიც ამ წლების განმავლობაში აკეთებენ სიკეთეს, აღწევენ წარმატებებს და ხდებიან მისაბაძნი მათი მეგობრებისა და ახლობლებისათვის. წლები გარბიან, მაგრამ ეს თქვენზე არ მოქმედებს, რადგან თქვენ ისევე მხნე, სულით ახალგაზრდა, სიცოცხლის სიხარულითა და ხალისით სავსე ბრძანდებით.
ფრანგულად ციფრი ოთხმოცი გამოითქმის, როგორც „ოთხჯერ ოცი" დაე, თქვენ დღეიდან იყოთ ოთხჯერ უფრო მხნე და ჯანმრთელი, ოთხჯერ უფრო საინტერესო და ბრძენი,ვიდრე ოცი წლისა. თქვენი ღირსებისათვის, შემოქმედებისათვის, კაცთმოყვარეობისათვის კვლავაც მრავალი ათეული წელი დაგაჯილდოოთ უფალმა ჯანმრთელობით და წარმატებებით!

ბატონო გურამ,
გილოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ოჯახთან ერთად.

დიდი პატივისცემით თემურ ყვითელაშვილი

ჩემო გურამ, გისურვებ გამარჯვებას და ბედნიერებას.
80 წელი ლამაზად და შემოქმედებითად შეგისრულდა. ვისურვებდი შენებრ ჭკვიანი პიროვნება ნეტავ ბევრი ყავდეს ებრაელ და ქართველ ერს.
დავესესხები პოეტ ბ-ნ აბტალონ შალელაშვილს...
„რად ღირს სიცოცხლე თუკი ბჟუტავ და არ ანათებ".
მოკითხვა ქ-ნ ციალას.
გკოცნი და გეხვევი — **რამინ იაკობაშვილი ოჯახით.**
ისრაელი 09.01.2018 წელი

Дорогой Гурам! От всей души поздравляем Вас и всех Ваших близких с юбилеем! Ждем еще многих лет сотрудничества, радостного общения и Ваших доблестных свершений во благо еврейского и грузинского народов -
Ваши близкие друзья - **Мика Членов и Галя**

გურამ ბათიაშვილი - პოლიკარპე კაკაბაძის პრემიის ლაურეატი



საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მწერალსა და დრამატურგს გურამ ბათიაშვილს პოლიკარპე კაკაბაძის სახელობის პრემია მიანიჭა.

საიუბილეო საღამო

10 იანვარს საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა მწერლისა და დრამატურგის, საქართველოს სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილისა და დავით კლდიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატის,საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველო-ისრაელის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის გურამ ბათიაშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ, პოეტმა **ბაღათერ არაბულმა**. მან ისაუბრა გურამ ბათიაშვილის შემოქმედებაზე და სიტყვა გადასცა პოეტ **მაყვალა გონაშვილს**.
მწერალსა და დრამატურგს საიუბილეო თარიღი მიულოცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა**, საქართველოს პარლამენტის „ქართული ოცნების" ფრაქციის თავმჯდომარემ **გია ვოლსკიმ**, კინორეჟისორმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა **მერაბ კოკოჩაშვილმა**, ასევე რუსთაველის პრემიის ლაურეატებმა თეატრმცოდნეობის პროფესორმა **ნოდარ გუ-**



რაბანიძემ და თეატრის რეჟისორმა **თემურ ჩხეიძემ**, მსახიობმა **გურანდა გაბუნიამ**, პოეტებმა **ტარიელ ჭანტურიამ** და **ემზარ კვიტაიშვილმა**, თსუ პროფესორებმა **გურამ ლორთქიფანიძემ** და **ვალერი ასათიანმა**, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორმა **კოტე ლერნერმა**, პროფესორმა **ეთერ თოფჩიაშვილმა**, თეატრმცოდნეებმა **მარინე ბუზუკაშვილმა**, **მაკა ვასაძემ**, **გიორგი ყაჯრიშვილმა** და **ნიკა წულუკიძემ**.
საღამოს დაწვრილებითა ანგარიში იხილეთ „მ"უახლოეს ნომერში.

ლია კრიხელის დაჯილდოება

ისრაელში საქართველოს საელჩოს წილად ხვდა ბედნიერება შეესრულებინა მნიშვნელობით ერთი მეტად აღსანიშნავი და ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მისია - ღირსეული, ღვაწლმოსილი ადამიანისთვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ მინიჭებული „ღირსების ორდენის“ გადაცემის ექსკლუზიური მისია. განსაკუთრებით სასიამოვნოა ეს ფაქტი ისრაელში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩისთვის, ბატონი პაატა კალანდაძისთვის, ვინაიდან სწორედ მან წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტის პრემიების მიმნიჭებელ კომისიას, საქართველო-ისრაელის ურთიერთობებისა და თანმშრომლობის გაღრმავებისა და გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილისთვის ღირსების ორდენზე, პედაგოგისა და ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწის, ქალბატონი ლია კრიხელის კანდიდატურა. ქართველ ებრაელთა თემისთვის და ქალბატონი ლიას მოღვაწეობის სფეროს წარმომადგენელთა, ასევე, ისრაელის, განსაკუთრებით კი, ქალაქი ბათ-იამის საგანმანათლებლო წრეებში ქალბატონ ლიას დიდი ხანია საზოგადო მოღვაწეს უწოდებენ და დამსახურებულად ამაყობენ მისი მიღწევებით საქართველოში, ივრითის შემსწავლელი პირველი „ულპანის“ დამაარსებელი ლია კრიხელი, თავისი საქმითა და ცოდნით სახელმოხვეჭილ საქართველოს ქალთა საბჭოს ისრაელის წარმომადგენელია. აღსანიშნავია, რომ თვალსაჩინო საქველმოქმედო საქმიანობისათვის ქალთა საბჭომ იგი 2015 წელს პრემიით „ამაგდარი“, ხოლო 2016 წელს - პრემიით „ქომაგი“ დააჯილდოვა. ისრაელში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი, როგორც აღნიშნავენ, უნიკალური პროექტი „გაიცანით თქვენი შვილები“, რომელიც ემსახურება ისრაელში დაბადებულ და გაზრდილ ქართველ ებრაელთა ახალი თაობის მიღწევების წარმოჩენას და პოპულარიზაციას. არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ლია კრიხელის მიერ ქ. ბათ-იამში დაარსებული თანამოაზრე ქალთა გაერთიანება „ბათ-ამი“ და ბათ-იამის მერიასთან არსებული ივრითის შემსწავლელი კურსები „50+“.

საელჩოში ჩატარებულმა დაჯილდოების ცერემონიალმა, რომელსაც 30-მდე სტუმარი დაესწრო, კიდევ ერთხელ ცხადყო ქართველებსა და ებრაელებს შორის არსებული 26 საუკუნოვანი, შეურყეველი მეგობრობა.

საქართველოს საელჩო ულოცავს ქალბატონ ლია კრიხელს დამსახურებულ ჯილდოს და მას შემდგომ წარმატებებს უსურვებს!

„საუკეთესო პოეტი, ინჟინრებს შორის და საუკეთესო ინჟინერი, პოეტებს შორის“

„შიში და იმედი ვერ დადიან გვერდიგვერდ“ უთქვამს ებრაელ ფილოსოფოს ებნ ეზრას. შიში არასოდეს გაუვლია აზრად, იმედი კი ხშირად ყოფილა ჩემი მოსაუბრის, არიელის უნივერსიტეტის პროფესორის, მიხეილ ბენ ხაიმის მამოძრავებელი ძალა.

— ცხინვალელები „ლიახვდალეულებს“ უწოდებდენე თავს. განსაკუთრებით უბნის ბიჭებს გვიყვარდა ლიახვის პირას თამაში და შიგ ჭყუმპალაობა — იგონებს მიხეილი. მიშას მამამ, ხაიმ ხუხაშვილმა, თბილისის კოოპერაციული ტკქნიკუმი წარმატებით დაამთავრა. მაშინვე შესთავაზეს თბილისის მარცხენა სანაპიროს საზოგადოებრივი კვების ეკონომისტის თანამდებობა, მაგრამ მან მშობლიურ კუთხეში დაბრუნება არჩია და ბრეთის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ეკონომისტად მუშაობდა. მისი მეუღლე ზინა იოსებაშვილი, ცხინავლის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული გერმანული ენის სპეციალისტი გახლდათ, მასაც სთავაზობდნენ კათედრაზე დარჩენას, მაგრამ ომაიანობის დროს, ხუთი წვრილშვილის დედას, სამსახურისთვის აღარ ეცალა. იგი თავის გრძნობებსა და ნააზრევს რითმებად აყალიბებდა და ლექსების წერაში პოულობდა სულიერ საზრდოს. მიშას დები: ფენია, ეთერი, ლიანა და ბელა ამაყობდნენ წარმატებული ძმით და გვარის ერთადერთ გამგრძელებელს ეძახდნენ.

მიშიკო სკოლაში ექვსი წლისა შეიყვანეს. იგი განსაკუთრებით ლიტერატურას დაეწაფა. „ლექსების წერა დედისგან დამენათლაო,“ ამბობს. დადიოდა მძლეოსნობაზე, სირბილსა და სიგრძეზე ხტომაში ბევრი ფეხმარდი ოსი ჩამოუტოვებია უკან. მამამ პირობაც კი წაუყენა, თუ მათემატიკას არ ისწავლი, სპორტზე არ გაგიშვებო. ამრიგად, მიშა ყველა საგანს ფრიადზე სწავლობდა და არა მხოლოდ ლიტერატურას. ჭადრაკის თამაშიც მამამ ასწავლა, შემდეგ კი პიონერთა სასახლეში კლასიკურად შეისწავლა ჭადრაკის საიდუმლოება და თანრიგოსანიც გახდა. დიახ, ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) უცვლელი ჩემპიონი გახლდათ წლების განმავლობაში, ხოლო მძლეოსნობაში მეორე თანრიგი ჰქონდა. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და მამასთან ერთად თბილისის უნივერსიტეტს მიაშურა ბავშვობის ოცნების, ჟურნალისტიკის შესასწავლად. იგი ხომ გაზეთებში, „ნორჩი ლენინელი“ და „საბჭოთა ოსეთი“ აქვეყნებდა ლექსებსა და მოთხრობებს. „მახსოვს, რა ბედნიერი ვიყავი, როცა პირველი ჰონორარი მივიღე 12 მანეთის ოდენობით“ იგონებს იგი. ამიტომაც, ადვილი წარმოსადგენია, რა გაცრუება დაეუფლათ და რა დათრგუნულნი იყვნენ მამა-შვილი, როცა საბუთებიც კი არ მიიღეს ორი წლის სტაჟის უქონლობის გამო. (16 წლის რა სტაჟი უნდა ჰქონდეს, რა გიყო შვილო, ჩურჩულებდა ხაიმი). იქიდან ფეხით დაუყვნენ ვარზის ხევს და პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მიადგნენ, უკვე სულერთი იყო მათთვის, რათა წელი არ გასცდენოდა. ასე მოხვდა „გეპეიში“ მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ავტომობი-ლების განხრით. ფიზიკის გამომცდლი პროფ. დავით ბააზოვი გახლდათ. პირველი სამი სემესტრი ძალიან უჭირდა ტექნიკური საგნების დაძლევა. ლექტორები გარიცხვითაც ემუქრებოდნენ, რაც მისი მშობლებისთვის ტრაგედია იქნებოდა.

— დღედაღამ თავდაუზოგავად ვწავლობდი, ლექტორების გასაოცრად და ჩემდა საბედნიეროდ, საუკეთესო მოსწრებისთვის ორჯონიკიძის სტიპენდიაც კი დამენიშნა — 80 მანეთი, მაშინ როცა სტალინური სტიპენდია 100 მანეთი იყო,“ ეღიმება მას. იგი იყო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს წევრი და კონფერენციებში მოხსენებებით გამოდიოდა. ის კი არა და, პოეზიის შიდა კონკურსზე მიშას ლექსმა პირველი ადგილი მოიპოვა და ინსტიტუტის გაზეთში „ლენინელი“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „საუკეთესო პოეტი ინჟინრებს შორის და საუკეთესო ინჟინერი პოეტებს შორის.“

„ხრუშჩოვის სტუდენტებისთვის“ წარმოებაში მუშაობა სავალდებულო იყო. მიშა ხუხაშვილიც მუშაობდა ავტოსარემონტო ქარხანაში. წითელი დიპლომითა და რექტორატის დახასიათებით ხელდამშვენებული გაემგზავრა მოსკოვს და ავტოსაგზაო ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. — „კათედრის გამგე, ცნობილი ებრაელი მეცნიერი, პროფესორი სამუილ ხოვახი გახლდათ. იგი მამაშვილურად მექცეოდა, მირჩევდა მოსკოვში დარჩენს და კარგი მეცნიერის კარიერას მიწინასწარმეტყველებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ოჯახური პირობების გამო, ცხინვალში მომიხდა დაბრუნება.“

— თქვენ გჯერათ ბედისწერის?

— დიახ, ცხოვრებამაც მაჩვენა მაგალითები. ცხინვლის ავტოსკოლაში დავიწყე მუშაობა. როგორც წესი, თბილისიდან კომისია ჩამოვიდა, რომლის შემადგენლობაში ჩვენი ინსტიტუტის ლექტორიც იყო. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. ჩამჭიდა ხელი და ჩემ მშობლიურ ინსტიტუტში დამაბრუნა. უმცროსი მეცნიერ მუშაკიდან პროფესორამდე, იქ გავიზარდე.

ნუ დავარღვევთ ქრონოლოგიას. მეცნიერ მუშაკი მიხეილი, უკვე ლექციებს კითხულობდა, შემდგომ კათედრაზე ციკლის უფროსად დანიშნეს. ტელეგადაცემაში „შუქნიშანი“ წამყვანად და პროგრამის ავტორადაც გვევლინება. როცა მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსიტუტიდან მოუვიდა მიწვევა, ცთუნებას ვერ გაუძლო და იქაც უფროს მეცნიერ-მუშაკის რანგში მუშაობდა. როცა საკანდიდატო თემა მოამზადა, ხელმძღვანელობამ ურჩია კიევის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში დაეცვა იმ მოსაზრებით, რომ ისინი თანამშრომლობდენენ და ამგვარი გაცვლა–გამოცვლის პრაქტიკა მიღებული იყო.

— „კიევის ინსტიტუტის რექტორის წინადადებამ ჯერ გამაკვირვა, შედეგ აღმაშფოთა: Мы уже 17 лет не принимаем евреев, а вы, со своим отчеством , Хаимович , хотите защититься у нас? Поменяйте отчество и через год мы вас ждём . მოულოდნელობისგან მხოლოდ ისღა ვუპასუხე: плевать я хотел на вашу кандидатскую, я отца не предам и ничего не поменяю და კარი გამოვიჯახუნე.“ იგონებს მიხეილი. რექტორი გამოდევნებია და დაუბრუნებია. „მომწონს შენი ვაჟკაცური ხასიათი, მეტსაც გეტყვი, მე პატივსა ვცემ ებრაელებს. ერთმა ებრაელმა ომის დროს, მთელი ჩვენი მრავალოჯახიანი სახლი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა.“ მიხეილმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია კიევში თემზე: „ავტომობილების საიმედობის რეჟიმის დადგენა“.

სადოქტორო დისერტაცია უკვე მშობლიური ინსტიტუტის კედლებში დაიცვა თემაზე: „მოძრაობის უსაფრთხოების ადაპტური სისტემა“, რომელსაც აწგანსვენებული; პროფესორი ლული შათაშვილი ესწრებოდა და მასთან ერთად ზეიმობდა გამარჯვებას. 90-აინი წლების სრული დეფიციტის პირობებში, მიხეილი მეოთხე სამსახურზეც თანხმდება ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობის გამო და ტრანსპორტის სამინისტროს სტანდარტიზაციის ტექნიკური დირექტორის თანამდებობას იკავებს. ოჯახი ვახსენე და უპრიანია მიხეილის მეუღლე გაგაცნოთ, პირმშვენიერი ლალი სეფიაშვილი: იგი ოჯახის ექიმია პოლიკლინიკაში „ქლალით“. მიხეილი მეუღლის მიღწევებზე დიდი სიამყით მიამბობს, რომ მან რეკორდულად მოკლე დროში, ერთ წელიწადში მიიღო ექიმის ლიცენზია, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა. ხელმძღვანელობისაგან მიღებული სიგელები და მადლიერი პაციენტების წერილები, მეტყველებიენ მისი კვალიფიციურობის მაღალ დონეს. მათ ორი ქალიშვილი ყავთ, უფროსმა, ქეთიმ, იურიდიული დაამთავრა და ერთ-ერთი დიდი კომპანიის იურისტია. უმცროსი, სოფიკო, მუდმივ ძიებაშია. შეისწავლა ფილოსოფია, რელიგია, ეკონომიკა. ამჟამად არიელის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია და იქვე სტარტაფების ეკონომისტის მოადგილე.

— როგორ აეწყო თქვენი ცხოვრება ისრაელში?

— 2003–ში, 57 წლის ასაკში ამოვედი ისრაელში. იმის ილუზიები არ მაწუხებდა, რომ სპეციალობით ვიმუშავებდი და ყოველგვარი კომპლექსების გარეშე სტამბაში დავიწყე მუშაობა, თან ენის ათვისებას ვცდილობდი. ჩემი მეგობარი, პროფესორი, მოსე დანიელოვი არ მეშვებოდა, მარწმუნებდა, რომ უნარი შემწევს და არიელის უნივერსიტეტში რამდენჯერმე წარმადგინა თავისი კოლეგების წინაშე. ყოველთვის უარს ვიღებდი ივრითის არასაკმარისი დონის გამო. მე თითქმის ხელიც კი ჩავიქნიე, მაგრამ მოსემ — არა. ერთ-ერთი ამგვარი შეხვედრისას მიაღწია იმას, რომ ორი კვირაში ჩამეტარებინა საცდელი ლექცია ივრი-

თზე. ვწერდი, ვკითხულობდი, ვიზეპირებდი ტერმინოლოგიას და ასე წარვსდექი აუდიტორიის წინაშე. როგორ არ დავარქვა ბედისწერა, როცა კომისიამაც და სტუდენტებმაც ერთხმად მოიწონეს ლექცია. ჯერ ორი ჯგუფი ჩამაბარეს და მომდევნო სემესტრში, ლექციების მთელი ციკლი შემომთავაზეს „ავტომობილის დინამიკაში.“ ამჟამად ოთხ საგანს ვასწავლი: დინამიკა, საიმედობის თეორია, სატრანსპორტო სისტემები და გზების დაპროექტება. გარდა ამისა, სადიპლომო პროექტების ხელმძღვანელი ვარ.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ ბენ ხაიმს 12 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს 60 სამეცნიერო შრომა და სტატიები მსოფლიო მნიშვნელობის ჟურნალებში. დააარსა სატრანსპორტო სისტემების ლაბორატორია და მოხსენებებით გამოდის სამეცნიერო კონფერენციებზე. მიღებული აქვს 11 გრანდი, სხვადასხვა სამინისტროებიდან.

— თქვენი გახმაურებული და თავბრუდამხვევი გამარჯვების შესახებ რას მეტყვით?

— ეს მართლა მეამაყება, შეერთებული შტატების ცნობილი, დიდი კომპანია KATARPILAR-ის ინიციატივით, ყოველწლიურად ეწყობა მსოფლიო პირველობა ტექნიკური ნოვაციების წარმოსაჩენად და მთელი ქვეყნის დიდი უნივერსიტეტები იღებენ მონაწილეობას. ჩვენმა რექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება მე გავმგზავრებულიყავი ჩემი გამოგონებებით. ჩემი სტუდენტების სადიპლომო თემა თანამედროვე ტრაქტორი იყო. მათ დააპროექტეს და ააგეს 400 კგ. უახლესი ტიპის ტრაქტორი, რითიც წარვსდექით ილინოისის შტატის ქ. პეორიაში (დედაქალაქი ჩიკაგო). მაღალი შემადგენლობის კომისიის შეფასებით, ისრაელში შექმნილმა მოდელმა, ნომინაციაში „ნაკლებხმაურიანი“, პირველი ადგილი დაიმსახურა, ხოლო სიმტკიცეში მესამე ადგილი. საბოლოო ჯამში, 40 მონაწილე უნივერსიტეტიდან, 30 უკან მოიტოვა და მე10 ადგილი დამსახურებულად დაიკავა. ეს ხაიფის ტექნიონის შედეგებზე უკეთესი იყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არიელის უნივერსიტეტის ისტორიაში, ეს პირველი მონაწილეობა იყო მსგავს ფორუმში, ეს მართლაც დიდი მიღწევაა.

— სიამაყეს ვერ ფარავს მიხეილი.

— გამარჯვებულებს დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს ისრაელში. ეს ამბავი საინფორმაციო საშუალებების მთავარ სათაურებს ამშვენებდა. სამომავლოდ ახალი მწვერვალების დაპყრობას აპირებენ მიხეილი და მისი სტუდენტები. ისინი გაუმჯობესებულ ტრაქტორსა და „ავტონომიური“ ავტომობილის, მძღოლის გარეშე, (შეზღუდულის შესაძლებლობის მქონე პირთათვის) წარდგენას აპირებენ.

— თუ იყენებთ საქართველოში დაგროვილ გამოცდილებას?

— გაგეცინებათ, მაგრამ მე ძველი მეთოდით, ანუ დაფაზე გრძელი ფორმულების წერით ვუხსნი აუდიტორიას და არა კომპიუტერის საშუალებით და წარმოიდგინეთ, მეტად ეფექტური შედეგებია. მიხეილ ბენ ხაიმი არაერთხელ მიიწვიეს საზღვარგარეთ ლექციების ჩასატარებლად. ამ ზაფხულს კემბრიჯის უნივერსიტეტში ჩაატარა ლექცია ავტომობილების ეკოლოგიურობის შესახებ, რის შედეგადაც მის შრომით ბიოგრაფიაში კიდევ ერთი წარმატება ჩაიწერა.

— ცხოვრების ასეთ რიტმში, თუ იცლით კიდევ რამისთვის?

— ნებისმიერ მივლინებაში საზღვარგარეთ, ჩემ მეუღლესათან ერთად მივდივარ. ლალის მხარდაჭერა მეტად პოზიტიურია ჩემთვის და ამას მოგზაურობადაც ვიყენებთ. ისე კი, ყოველ სისხამ დილას სირბილისა და ცურვის ჩემებურ ნორმატივსაც ვასრულებ.“

— ადრე რომ ჩამოსულიყავით, როგორ წარიმართებოდა თქვენი ცხოვრება?

— უკვე რამდენჯერ ვახსენეთ „ბედისწერა“, ყველაფერი ეწყობა ისე, როგორც უნდა აენყოს.

— ცხინვალის დღევანდელობაზე რას მეტყვით?

— პაპის ნაამბობიდან მახსოვს, რომ მე–20 საუკუნის დასაწყისში, ცხინვალში თითზე ჩამოსათვლელად იყო ოსური ოჯახები. ქართველები, ებრაელები, სომხები სჭარბობდნენ. ერთმანეთს არას ერჩოდნენ, „მეცეცხლურები“ შაბათის დაცვაშიც უწყობდნენ ხელს ებრაელებს. ეს მხოლოდ ავადგანწყობილი პოლიტიკოსების უშნო თამაშია და არავინ არ ფიქრობს იმ შერეული ოჯახების ბედზე, ვისი მომავლებისთვისაც ოსიცა და ქართველიც თანაბრად ახლობელია. უიმედობისგან დაგვიფაროს ღმერთმა, მე მაინც მჯერა, რომ მშვიდობის ფასი არაფერია და საღი აზრი გაიმარჯვებს.“

ესაუბრა და ჩაიწერა ლია კრიხელმა.

მათემათიკოსი ალექსანდრე (იაშა) ხვოლესი

2017 წლის 1 ნოემბერს (ებრაული წელთაღრიცხვით TSy''x წლის 12 ხეშვანს) იერუშალაიმში, 97 წლის ასაკში, გარდაიცვალა და იერუშალაიმის გივათ შმუელის სასაფლაოზე, მისი მეუღლის, ქალბატონ ესთერ ცეიტლინ-ხვოლესის გვერდით,დაიკრძალა საქართველოდან ისრაელში ამოსული ცნობილი მათემატიკოსი, ღვანლმოსილი პიროვნება ალესანდრე (იაშა) რეუბენის ძე ხვოლესი, შვილიშვილი დიდი რაბი აბრამ ხვოლესისა. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია მისი შვილებისათვის, შთამომავლებისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისათვის, ისრაელის და განსაკუთრებით საქართველოდან ისრაელში ამოსული საზოგადოებისათვის.

სამარადისო განსვენება მას (მენუხათო ბეგანყედენ) და ნათელი მის ხსოვნას.

მისი პიროვნების წარმოსაჩენად ამ შეტყობინებას, დროის გასვლის გამო, მცირეოდენი კორექტირებით, თან ვურთავ სტატიას, რომელიც მისი დაბადების 90 წლისთავთან ერთად გამოვაქვეყნე აწ განსვენებულ, ჩემს და ალესანდრე (იაშა) რეუბენის ძე ხვოლესის მეგობარ დოქტორ ამირან იანეცთან (ჩაჩანაშვილი) ერთად.

პროფესორი მოშე დანიელი (დანიელაშვილი)

მათემათიკოსი, დოქტორი ალექსანდრე (იაშა) ხვოლესი დაიბადა 1920 წლის 27 ნოემბერს საქართველოში, ქ. ცხინვალში, სახელოვანი რაბი აბრამ ხვოლესის უმცროსი ვაჟის რეუბენის და ქალბატონ რახელ ვიდგოფის ოჯახში.

პაპამისი, რაბი აბრამ ხვოლესი (1854-1931 წ.წ.) საქართველოში ლიტვიდან ჩამოსახლდა სასულიერო–საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის და მე-19 საუკუნის ბოლოს ქ. ცხინვალში დაფუძნდა. ის, ცნობილი რაბი სპექტორის ყოფილი თალმიდი, ცხინვალის თემის ჭეშმარიტ სულიერ ხელმძღვანელად, მასწავლებლად და ცხოვრების წესის წარმმართველად იქცა.

რაბი აბრამ ხვოლესი მთელი საქართველოს ებრაელთა თემში, განსაკუთრებით კი ცხინვალის მრევლში და თავის მრავალრიცხოვან თალმიდებში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა ის, რომ ისრაელში ამოსულმა ცხინვალის მადლიერმა მრევლმა ქ. ხოლონის ქართველი ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ კირიათ – შარეთში (შარეთის უბანში) ქართველი ებრაელების მიერ პირველად აშენებულ სალოცავს მისი სახელი უწოდა.

რაბი აბრამ ხვოლესის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ნიჭიერებითა და სწავლის წყურვილით იყო დაჯილდოებული. მათ შორის იაშა ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. იგი სკოლაშივე სხარტი აზროვნებით, ნიჭიერებით და წავლით გამოირჩეოდა. 1936 წელს ცხინვალში წარჩინებით დაამთავრა იმდროინდელი სამხრეთ-ოსეთის შრომითი საშუალო სკოლა და იმავე წელს 16 წლის ჭაბუკმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

იაშას სტუდენტობის წლები დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც საქართველოში ინტენსიურად ვითარდებოდა მათემატიკური მეცნიერება და ყალიბდებოდა ქართული მათემატიკური სკოლა (აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი და სხვ.). იმ დროისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ცნობილი მათემატიკოსები: აკადემიკოსები ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ვ. კუპრაძე, შ. მიქელაძე, გ. ჭოღოშვილი, პროფ . ა. ხარაძე, და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების გარემოცვაც მეტად ძლიერი იყო. მარტო ის რად ღირს, რომ ბატონ იაშას თანაკურსელები და ვაკეში მდებარე სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლის თანამცხოვრებლები იყვნენ შემდგომში ისეთი აღიარებული მეცნიერები, ა. ბიწაძე, გ. მანია, ა. კალანდია, ა. ტორონჯაძე და სხვ.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იგი მათ შორისაც ბრწყინვალე იყო — მისთვის დამახასიათებელი ნაპერწკლოვანი ორიგინალური სხარტი აზროვნებით. მისი ნიჭის ბრწყინვალებას სტუდენტობის წლებში დღესაც განსაკუთრებული აღნიშვნით იხსენებენ მისი ყოფილი თანაკურსელები. როგორც ბატონი იაშა იგონებს, მისი პირველი სამეცნიერო ნაბიჯი, გადადგმული სტუდენტობის წლებში მის მეგობარ, ბიძაშვილ, შემდგომში ცნობილ გამომგონებელ ი.ბაუმბერგთან ერთად, ეხებოდა მზის რადიაციის პრობლემებს.

1941 წელს 21 წლის ასაკში იაშა ხვოლესმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმავე წელს, აკადემიკოს ვ. კუპრაძის წარდგენით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“ გამოქვეყნდა მისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ეძღვნებოდა ფრედგოლმის მესამე გვარის ინტეგრალურ განტოლებებს. ამ სამუშაოს უნივერსიტეტში ადემიკოსი ვ. კუპრაძე წარმართავდა.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იაშამ მუშაობა დაიწყო ქ. რუსთავის სამხედრო საავიაციო სკოლის მათემატიკის და აეროდინამიკის მასწავლებლად, სადაც მსახურობდა წითელი არმიის რიგებში გაწვევამდე. 1942 წლის 5 მარტიდან თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტია, რომლის დამთავრების შემდეგ ჯერ მსროლელი ბრიგადის ოცეულის მეთაურია, შემდეგ კი ბატარეიის. იგი განსაკუთრებით თბილად იგონებს ომში წასვლის წინ იმ გაცილებას და დალოცვას, რომელიც მისი თანაკურსელის-გვანჯი მანიას ოჯახში გვანჯის მამამ მოუწყო.

ა. ხვოლესი მებრძოლთა რიგებში ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ მის ნაწილში მასთან ერთად იბრძოდა ხახამ ბინიამინ ბაბალაშვილის ვაჟი, აწ განსვენებული რახმინი და მათ ყმაწვილკაცობაში, ომის მრისხანე წლებში ჩასახული მეგობრობა მთელი ცხოვრება გაჰყვათ. რაოდენ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბატონ იაშას ისრაელში ალიის შემდეგ ისინი ერთმანეთს ისრაელშიც შეხვდნენ. რახმინი ისრაელში ქართველ ებრაელთა 70-იანი წლების ალიის ერთ–ერთი აქტიური მონაწილე იყო) და მათ აქაც გააგრძელეს ახლო მეგობრული ურთიერთობა.

ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში იაშა სამჯერ დაიჭრა, განსაკუთრებით მძიმე მესამე ჭრილობა გამოდგა, რის გამოც ჰოსპიტალიდან ამჯერად, გამოეწერა, როგორც სამამულო ომის ინვალიდი. ფრონტზე მტერთან ბრძოლებში გამოჩენილი მეომრული მამაცობისა და თავდადებისათვის მთავრობის მრავალი ჯილდო მიიღო, მათ შორის წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენები და სხვ.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ იაშა პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც პარალელურად გააგრძელა ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა. 1949 წელს 29 წლის ასაკში მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფრედჰოლმის მესამე გვარის ინტეგრალური განტოლებები“.უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვ. კუპრაძე იყო.

დისერტაციის დაცვის შემდეგ იაშამ მუშაობა გააგრძელა ქ. ცხინვალის (იმხანად ქ. სტალინირი) პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთდროულად პროექტორის თანამდებობაზეც მუშაობდა. აქ საერთო სიყვარულითა და პატივისცესარგებლობდა, რასაც გარკვეულწილად, გარდა მისი კომუნიკაბელური ხასიათისა და კაცთმოყვარეობისა, ხელს უწყობდა ქართულის, ოსურის და რუსულის თანაბრად კარგად ცოდნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1949-52 წლებში იაშა ხვოლესი ქ. სტალინირის საქალაქო საბჭოს დეპუტატი იყო. ამ პერიოდში მას შეეძინა ქალიშვილი როზა და ვაჟიშვილი აბენი.

1952 წლიდან იაშა ხვოლესი ქ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში იწყებს მუშაობას უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. აქ მუშაობისას მას ფართო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა საინჟინრო დარგის ცნობილ მოღვაწეებთან - აკადემიკოს კ. ზავრიევთან, ე. სეხნიაშვილთან, გ. ქარცივაძესთან, ვ. ბაციკაძესთან და სხვ.

ამ დროს იაშამ გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგები კერძო წარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში და სხვ. პარალელურად, ის თბილისის ა. პუშკინის (შემდგომში სულხან-საბა ორბელიანის) სახელობის ინსტიტუტშიც მოღვაწეობს.

1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა გამოთვლითი ცენტრი, რომლის დანიშნულება იყო თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის ფართო დანერგვა და გამოყენება საინჟინრო და ეკონომიკურ-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. ეს იმ დროს მათემატიკური მეცნიერების მონინავე პოზიციებს წარმოადგენდა და აქ მრავლად იყვნენ მოზიდულნი ცნობილი მათემატიკოსები.

ბატონი იაშაც იქ აღმოჩნდა და მან მუშაობა ამ ცენტრში დაიწყო მეცნიერ-მუშაკად. იმ დროისათვის საქართველოში აქტუალური თემატიკა იყო მაღლივი თაღოვანი კაშხლების პროექტირება და მშენებლობა. ამ თემატიკაში მან პროფესორებთან თ. ცხადაიასა და ვ. ჟღენტთან ერთად მიიღო საინტერესო შედეგები, რომლებიც ფუძემდებლური გამოდგა თაღოვანი კაშხლების გეომეტრიის ანალიზურ აღწერაში.

ამ პერიოდში გამოთვლით ცენტრში გაიხსნა მათემატიკური პროგრამირების განყოფილება, რომლის დაფუძნება და განვითარება დაევალა ბატონ იაშა ხვოლესს. იგი მომზადებული იყო ამ ახალი თემატიკის განვითარებისათვის, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მისთვის დამახასიათებელი იყო ახალი პრობლემების დასმა და გზის გაკვალვა. აქ

მუშაობისას მან კვლავ გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი შრომები კერძო წარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში.

ამ განყოფილების შექმნასთან დაკავშირებით, ა. ხვოლესს მიეცა შესაძლებლობა წამოეყენებინა და გადაეწყვიტა ისეთი მნიშვნელოვანი სამეურნეო-ეკონომიკური ამოცანები, როგორიც იყო ცნობილი ტრანსპორტის ამოცანის გამოყენება ქ. თბილისის პირობებისათვის, შამპანიური ქარხნის ტექნოლოგიური ხაზების დაგეგმვა–ოპტიმიზაცია და სხვ. ამას გარკვეულწილად ხელს უწყობდა მისი პიროვნული თვისებები, მათ შორის ხალხთან საქმიან-მეგობრული ურთიერთობის დამყარების და სხვ.

ამ პერიოდში ქ. ნოვოსიბირსკიდან საქართველოში დაბრუნდა აკადემიკოსი ი.ვეკუა, რომელმაც აქტიური მუშაობა გააგრძელა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში გარს შემოიკრიბა ნიჭიერი შემოქმედი მათემატიკოსი მეცნიერ-მუშაკები. მათ რიცხვში ა. ხვოლესიც იყო. აქ მოღვაწეობისას მან გამოაქვეყნა შრომები ი. ვეკუას გარსთა თეორიის ზოგიერთი ამოცანის, მათ შორის ცვლადკვეთიანი ფილის ამოხსნის შესახებ მისთვის დამახასიათებელ სტილში: საკითხის ღრმა ანალიზი და მარტივი გადაწყვეტა.

1966 წელს აკადემიკოსი ი.ვეკუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აყალიბებს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს, სადაც ჯერ პროგრამირების, ხოლო შემდეგ საინჟინრო და ფიზიკური ამოცანების განყოფილების გამგედ დაინიშნა ა. ხვოლესი.

აქ განსაკუთრებით ფართოდ გამოვლინდა ხვოლესის ნიჭი მეცნიერ–ორგანიზატორისა. მან მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით დაამყარა ფარო კონტაქტები სხვადასხვა სამეცნიერო და საწარმოო ორგანიზაციებთან და მრავლად მოზიდა დაკვეთა–ამოცანები. ეს მაშინ, ყოფილ საბჭოთა კავშირში სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მაინც-დამაინც დამახასიათებელი არ იყო და იმყოფებოდა ფეხის მოკიდების სტადიაში, თუმცა ეს თავისუფალ სამყაროში მეცნიერული შემოქმედებისათვის ბუნებრივი მოვლენა იყო.

ა. ხვოლესის განყოფილებაში წყდებოდა მნიშვნელოვანი საინჟინრო-ფიზიკური ამოცანები ისეთ დარგებში, როგორებიც არიან სამშენებლო მექანიკა (მაღლივი თაღოვანი კაშხლების სიმტკიცე), ნაგებობათა სეისმომედეგობა, საინჟინრო სეისმოლოგია, კრისტალოგრაფია, პლაზმის თეორია, რენდგენოსტრუქტურული ანალიზი, მიკროელექტრონიკის სქემების ტოპოლოგია, გა— ზების ადსორბცია, მოლეკულური ქიმია და სხვ. ეს ჩამონათვალი გვიჩვენებს მისი მეცნიერული მოღვაწეობის ფართო დიაპაზონს.

ცხადია, რომ ამ ამოცანებს ის უშუალოდ ვერ გადაწყვეტდა და მისი დიდი დამსახურებაა ის, რომ მან თავის გარშემო შემოიკრიბა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მათემატიკოსი, მათ შორის ბევრი ებრაული წარმოშობის, რისიც მას არ ერიდებოდა.

ამ პერიოდში მას ფართო შემოქმედებითი და პირადი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მათემატიკური, ფიზიკური და საინჟინრო დარგის ისეთ ცნობილ მოღვაწეებთან, როგორებიცაა აკადემიკოსები და პროფესორები ა. ბიწაძე, ა. გოლდენვეიზერი, დ. ვაინბერგი, პ. ვარვაკი, ი. ვიშიკი, ა. ვოლმირი, ი. ვოროვიჩი, ა. იენევიჩი, მ. ლიფშიცი, ჯ. ლომინაძე, ლ. მაი, ს. მიხლინი, კ.ზავრიევი, შ. ნაფეტვარიძე, ა. ჟიდკოვი, კ. ხუბერიანი, ი. შტაერმანი და სხვ. ბევრი მათგანი ამ განყოფი ლების და ხვოლესების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. ხვოლესის განყოფილებიდან გამოვიდნენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები: თ. კალაძე, გ. აბურჯანია, ფიზიკა მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ა. კვიტაშვილი, თ. ვეკუა, მ. ბურშტეინი (ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე), ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. კოჟიაშვილი(ამჟამად ისრაელში მოღვაწე), ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი , აწ განსვენებული დოქტორი ა. იანეცი (ჩაჩანაშვილი) (შემდგომში ისრაელში მოღვაწე და ალექსანდრე (იაშა) ხვოლესის უახლოესი მეგობარი), მათემატიკოს გამომთვლელები, ა. ხვოლესთან მრავალი პუბლიკაციის თანაავტორები-ლ. წამალაშვილი, ნ. კანდელაკი და სხვ.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ა. ხვოლესს, აგრეთვე ამასთან უშუალოდ ახალგაზრდა და არა მარტო ახალგაზრდა, მეცნიერ მუშაკებისათვის რჩევა–დარიგებების გაცემაში და კონსულტაციების განევაში. მისი უნარი — მოესმინა საკითხისათვის, შემდეგ ჩამოეყალიბებინა საანგარიშო მოდელი და მიეთითებინა მისი გადაწყვეტის გზა — ძალზე მიმზიდველი იყო მრავალი მეცნიერ-მუშაკისათვის, რომელთა შორის ბატონ ა. ხვოლესისადმი დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით ამ სტრიქონების ერთერთი ავტორიც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ.დანიელაშვილი იყო და არის.

აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში ა. ხვოლესი 1990 წლამდე, ისრაელში ალიამდე მუშაობდა. ბატონი იაშა ყოველთვის დიდი სიამოვნებით და პატივისცემით იხსენებდა საქართველოში და განსაკუთრებით ამ ინსტიტუტში გატარებულ პერიოდს, ცნობილ მეცნიერებს, პროფესორებს, ამ ინსტიტუტის დირექტორს დ. გორდეზიანს, დირექტორის მოადგილეს გ. ჯაიანს, თანამშრომლებს, ღვაწლმოსილ პროფესორებს ლ. მაღნარაძეს, მ. ბაშალეიშვილს და სხვ.

ა. ხვოლესმა 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ასევე საზღვარგარეთის გამოცემებში. ეს შრომები ეხება პოლარული სინგულარობის მქონე ფრედჰოლმის განტოლებათა სრული თეორიის აგებას, შედგენილი ტიპის განტოლებათა თეორიის მთელი რიგი ამოცანების ამოხსნას, ი. ვეკუას გარსთა თეორიის ზოგიერთი ამოცანის ამოხსნას და სხვ.

იაშა ხვოლესი მრავალი საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეა, მათ შორის 1966 წელს მოსკოვში გამართული მათემატიკოსთა მსოფლიო საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესისა, სადაც მისმა გამოსვლამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ისრაელში ალიის შემდეგაც, მიუხედავად სამეცნიერო მოღვაწეობის თვალსაზრისით სოლიდური ასაკისა, ის აგრძელებს აქტიურ ცხოვრებას მათემატიკური მოღვაწეობის ხაზით. რეგულარულად მონაწილეობდა თელ-ავივის უნივერსიტეტში პროფესორ ი. ჰოხბერგის, იეჰუდა და შომრონის აკადემიურ კოლეჯში პროფესორ მ. დრახლინის სემინარებში, ვაჟიშვილ აბენ ხვოლესთან თანაავტორობით გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში და სხვ.სხვ. მათ შორის მეტად საინტერესოა უკანასკნელ წლებში ცნობილ ჟურნალ ''მათემატიკა სკოლაში'' გამოქვეყნებული კოშის უტოლობის (თეორემის) მარტივი დამტკიცება, რაც მისთვის დამახასიათებელი იყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. ხვოლესის საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობა, რაც განპირობებულია როგორც მისი პიროვნული თვისებებით, ასევე მისი ჩამომავლობითაც. იგი თავის მიზნად თვლიდა ხალხის დახმარებას, თავისი უნარის და ცოდნის არდაზოგვას, მხარში ამოდგომას.

იაშა ხვოლესს დიდი ღვაწლი მიუძღვის ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან, საბჭოთა კავშირიდან ისრაელში ალიის მძიმე პერიოდში მრავალი ლტოლვილი პიროვნების თბილისში სპეციალობით სამსახურში მოწყობასა და ისრაელში ალიის ხელშეწყობაში. მათგან ზოგიერთი თვეობით მის ოჯახში ცხოვრობდა. მას ამ კეთილშობილურ საქმეში მძლავრად ედგა მხარში მისი დიდებული მეუღლე — ექიმი პოლიგლოტი ქალბატონი ესთერ ცეიტლინი (აწ განსვენებული), რომელიც წარმოშობით ქ. რიგიდან იყო, აღზრდილი მაღალ კულტურულ ოჯახში. მისი მამა — იეხისკიელი, ომის წინა წლებში რიგის ებრაული ბანკის მმართველი იყო. თვითონ ქალბატონ ესთერს (ესიას) ფართო ჰუმანიტარული განათლება რიგის ებრაულ გიმნაზიაში ჰქონდა მიღებული და ფლობდა რუსულ, ქართულ, ებრაულ (ივრითულ), იდიშის, ინგლისურ და გერმანულ ენებს.

დღეს, ბატონ იაშა და ქალბატონ ესია ხვოლესების ოჯახის ტრადიციებს დიდებულად აგრძელებენ მათი ვაჟი მათემატიკოსი დოქტორი აბენ ხვოლესი და ქალიშვილი ექიმი — ფსიქიატრი-სპეციალისტი ბასია ხვოლესი.

ამავე დროს რაოდენ სამწუხაროა, რომ მათ გვერდით აღარ არის ასევე ნიჭიერი მათემატიკოსი, ქალბატონი როზა, რომელმაც ნუგეშად ბატონ იაშას და ქალბატონ ესთერს თავისი მშვენიერი ქალიშვილები დაუტოვა.

როდესაც ბატონი იაშა შეუქიათ ხოლმე მისი კეთილშობილური საქმეებისავის, მას განსაკუთრებული პატივისცემით ნიმუშად თავისი პაპა რაბი აბრამ ხვოლესი მოუყვანია, როგორც იდეალი მისთვის. მან მისი შთამომავლობა ღირსეულად გაამართლა და ასახელა.

განსვენება და ნათელი ალექსანდრე (იაშა) რუბენის ძე ხვოლესის ხსოვნას -მენუხათო ბეგანყედენ!

პროფესორი მოშე დანიელი (დანიელაშვილი)
საინჟინრო ფაკულტეტი
შომრონის არიელის უნივერსიტეტი დოქტორი

ამირან იანეცი (ჩაჩანაშვილი)
ისრაელის მეტეოროლოგიის სამსახურის (ინსტიტუტის) განახლებადი ენერგიის განყოფილების ხელმძღვანელი

შვილები ნანა, ია, მაია, სიძეები ემზარი, მერაბი, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმა ამირან მიხელაშვილი იუწყებიან და გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას

ეთერ
მიხელაშვილი-ხუბელაშვილის
გარდაცვალების გამო.

ციალა, გურამ და მალხაზ ბათიაშვილები, მზია და ნუგზარ აჯიაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ

ეთერ
მიხელაშვილი-ხუბელაშვილის
შვილებსა და ამირან მიხელაშვილს დედის და დის გარდაცვალების გამო.

ციალა ეხისკელაშვილის ხსოვნას

დამწუხრებული ვხვდებით შენი გარდაცვალების ოცდამეათე დღეს. უშენოდ ძალიან გვიჭირს. შენს შვილებს, სიძეებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს უსაზღვროდ გვიყვარხარ და გვენატრები.

წახვედი, შენ ხომ უსაზღვროდ მოსიყვარულე იყავი შენი ოჯახის და შენი შვილმამავლის. რაც დრო გადის, არ ნელდება უმძიმესი დანაკარგის ტკივილი უფრო მეტად ვგრძნობთ გულში სიცარიელეს, რომელსაც უკვე ვერავინ შეავსებს. დარდმა დაამძიმა ჩვენი გულები, მაგრამ ის განუგეშებს, რომ შენი ლამაზი სული მუდამ შენს ოჯახში იქნება. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული!

კვლავ შენზე ფიქრით გავიტანთ ამ წუთისოფელს და მოვუვლით შენს წმინდა ხსოვნას.

შენი ოჯახი.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003